



სამშაბათი, 27 ნოემბერი, 1901 წ.

სამშაბათი, 27 ნოემბერი, 1901 წ.

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს :

Table with 2 columns: 'თვე' (Month) and 'მან. კ.' (Days of the month). Rows show days from 12 to 2.

# იზვერია

სამშაბათი, 27 ნოემბერი, 1901 წ. რედაქტორი: ნიკოლოზის ძე...  
ფასი: 11-1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ...

„იზვერია“ ტელეფონი № 227.

„იზვერია“ ტელეფონი № 227.

**მარიამ სვიმონის ძე ხაშთასი** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თავის დაუვიწყარ მეუღლის **ნინა გიორგის ასულის ხაშთასისას**.  
მიცვალეულის გვამის გამოსვენება მოხდება 27 ნოემბერს, დილის 10-საათზედ, საკუთარ სახლიდან, ავქალის ქუჩა, № 141, მხოლოდ წირვა და ანდერძის აგება კუჯის სასაფლაოს წმ. მარინეს ეკლესიაში. (1-244-1)

**ქართული თეატრი**  
ხუთშაბათს, 29 ნოემბერს, 1901 წ.  
**მართლის დრამატიკული საზოგადოების დანის მიერ** წარმოდგენილი იქნება: თავ. პაპაი წმინდის, პ. შიფიანის, ს. ვალოგლიზვილის და სხვ. მონაწილეობით  
**მ. მ. ბაგრატიონის საბუნაშის**  
პირველად ახალი პიესები

**უპილის სოლოხათვის**  
დრამატ. ეპიზ. 3 მოქ. სპარსელების მფლობ. დროიდან, ვ. გუნიასი.  
**არკივ-დარია**  
კომედია-ხუმრობა 4 მოქმედ.  
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელისა, ნებიერიძისა, მღვიანი, და სხ. ბ-ნნი:

**ფალესტონი**  
ზოგიერთების ჩასაგონებლად.  
ავსაცა და კარგაც, საზოგადოდ, თავ-თავისი მიმდევრები ჰყავს. მისთანა რომ არც იქნება და არც ითქმება, რომ მომწონებელიცა და დამწუნებელიც არ გამოუჩნდეს. თვით უეჭველი და უსაკილო ქემ-მარატებაც კი ვერ ასცდება ამ უკუღმართ კანონს. მაგალითად, შენ ამბობ: „ორჯელ ორი—ოთხიაო“. არ შეიძლება, აქაც კიდევ ვინმე არ ახიროდეს და არა სთქვას: „არა, ეგ ტყუილიაო“. და როცა დაამტკიცებ და თავდასაძვრენი გზა აღარ ექნება, მაშინაც კიდევ ბანზე ავადებს სიტყვას და მოჰყვება ხალხთა-ბანდურს: „ეგ, ვსთქვით, მართალია—ორჯელ ორი ოთხია, მაგრამ უღროვო დროს არის ნათქვამი და სარჩულადაც მზაკვარება უღვესო... ეგ ამისთანა დროს მიტომ არის ნათქვამი, რომ ჩემი ოჯახისათვის შეურახყოფა მიეყენებიაო“. შენ გაკვირვებული ეკითხები: „ვინ მოგახსენათ? ეგ საიდან გამოგყავსო?“—რა დიდი მოხსენება და გამოყვანა უნდა, —გოასუბეჩენ, —განა ჩვენდა თავად კი ვერ მივხედებთ? ორი ხომ მე და ჩემი ცოლი ვართ?.. მე ჩემის ცოლის ნამაღვად კიდევ ერთი საყვარელი მყავს; ჩემ ცოლსაც საიდუმლოდ

კიდევ ერთი მეგობარი, ეს გამოადის ორი... ახლა ერთად ვიანგარიშოთ: ორი ჩვენ და ისინიც ორი, გახდება ოთხი და, აი, სადა სცემს ის, ვინც ამბობს, რომ ორჯელ ორი ოთხიაო.  
გონიერება ამ გვარ ლოლიკას, რასაკვირველია, ყურადღებას არ აქცევს, მაგრამ ბრბოსათვის კი ამგვარი ჩმახვა და აზრის გადაუკუღმართება დღიური საზრდო-საკენკია: დასტაცებს ხელს, გაიტან-გამოიტანს აქეთ-იქით და მერე სდიეკვალში... ამგვარი მაგალითი ახლაც წინ გვიდევს.  
„ივერის“ № 161-ში ჩემი სტატია იყო დაბეჭდილი „მცირე შენიშვნა“. აი დედა აზრი იმ სტატიისა: ყოველგვარი საერო მოვლინება, აუცილებელ საქორავნისაგან გამოწვეული, რომელიც კი შეუსისხლხორცება ხალხს, საუკუნოების განმავლობაში ცხოვრების ბრძმელში გაუტარებია, განსხვავებული ელ-ფერი მიუცია, თავისი საკუთარი ნაციონალური ბეჭედი დაუსვამს ზედ და ისე გადმოეცია ჩამომავლობისათვის, ისეთი ანდერძისა და „წმიდათა-წმიდა“ ქვეყნისათვის, რომ მისი ვაგლახად ხელის შეხება და წინდაუხედავად გადადება წარსულის უარის ყოფა და, მასადაამე, სასიკვდილოთაც თავის გადადება... მხოლოდ პირუტყვი ივიწყებს წარსულს, არ ჰუიქრობს მომავალზე და მართა აწმყოთა კმაყოფილი.  
კაცი კი, როგორც გონიერი და

გუნია, სვიმონიძე, გაჩერელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მარინაშვილი, იმედაშვილი, და სხვ.  
**III**  
**დივერტისმენტი**  
აკაკი წერეთელი წაიკითხავს თავის ახალს ლექსებს. სოფრომ მგალობლიშვილი სცენებს ვლებების ცხოვრებიდან. ნატ. გაბუნია-ცაგარლისა შეასრულებს ქართულ ხმებს. კ. შათირიშვილი იმღერებს კომიკურ კუბლეტებს. ვ. ურუშაძე წაიკითხავს გურულ სცენებს.  
**ლ ე კ უ რ ი დ ა კ ი ნ თ რ უ რ ი.**  
ელ. ჩერქეზიშვილისა, ლ. ციმაკურიძის და აწყურელის მონაწილეობით. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულ ებრიათ.  
(3-უ-1) რეჟისორი ვ. გუნია

**პირველი კერძო სამკურნალო**  
**მედიცინის ნავსარდლიანისა**  
(კუჯიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავთომყოფთ იღებენ ექიმი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.  
**დილაობით:**  
ბ. ა. ნავსარდლიანი. 11-12 ს. სადისტაქრო, ვენეროული (სიფილისი) და საზარდეს ავადმყოფობანი.  
შ. მ. ჩიქოვანი. 9-10 საათ. სკულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**წ. ი. ბაბანაშვილი.** დილის 11-12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენი ავადმყოფებს.  
**კ. ი. ბაქალიშვილი.** 12-1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.  
**ბ. პ. ცხრაბაბიანი.** 1-1/2 ს. შინაგანისა და ბავშვებისა.  
**ს ა ღ ა მ ო ლ ბ ი თ :**  
**ნ. ნ. როსტომოვი.** 5-6 ს. საქორავნო და კანისა.  
**ბ. ნ. შაპოვაკი.** 6-7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენეროულ ავადმყოფობათა.  
**ბ. ა. თარხანოვი.** შინაგან და

ბავშვების ავადმყოფობისა, 7-7/2 ს. ს. ბ. არვანიძე. 11-1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსას“, აუტრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნებით.  
**ბ. ა. ნავსარდლიანი.** 7/2-8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.  
დივერტორი სამკურნალო დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.  
Первая частная лечебница—д-ра Навасардиана. Тифлиси, противъ памяти. Воронцову.

**მ ა უ რ ა ლ ი**  
**მიხაილ გელვანიშვილი**  
იღებს ავადმყოფებს დილით—12-1, საღამოთი 6-7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (5.)

**ქართულთა ქალთა ახსანაშვილის**  
სამკურნალოში და სახელონო სკოლაში იღებენ ყოველგვარ **სამმარტას**: კაბებს, თეთრფულს, ქარგვას და სავლებზედ ამოჭკვრავენ ნიშნებს (МВТК). ბარონის ქუჩა, № 12. (20-უ-9)

ველგვარი და ყოლიფერი ძველებური უარ საყოფელი იყოს...  
გარჩევა უნდა, ჩვენ იმათ უნდა დაუეკვირდეთ, გამოვიკვლიოთ, რაც საქორავნო და გამოსადეგი აღარ არის, მოგაშოროთ და გაშალაშინებული მივიღოთ. რასაც არ ეჭირება შეცვლა, ის ისევე შეუშლელად დავსტოვოთ და რაც სრულიად საქორავნო აღარ არის, ის ისტორიის დავუტოვოთ. მართალია, ეს უკანასკნელი, როგორც გამოუსადეგარი რამ, თავის თავადაც გადავარდება, მაგრამ რაც მალე მოიშლება, ისა სჯობს და ხელის შეწყობასაც თვისი კანონი აქვს: ის უნდა იყოს დამყარებული შეგონებაზე და არა ძალდატანებაზე, რომელსაც ხშირად სულ წინააღმდეგი ნაყოფი მოაქვს.  
აი რა იყო გამოთქმული იმ ჩემ სტატიაში და მაგალითებიც თანავე მოყვანილი. ყველა ეს, ჩემის აზრით, ისეთივე ქმედებებია, როგორც ორჯელ ორი—ოთხი, მაგრამ მაინც გამოჩნდენ მოწინააღმდეგნი და მათ მეთაურადაც ბატონი პ. უმიკაშვილი.  
არის წრეა, —ბრძანებენ გულის წყრომით ჩვენი მოწინააღმდეგნი, —რომელიც ძველ მამა-პაპულ ჩვეულებას, დღეს მანებელსა და ქვეყნის დამღუპავს, ხელს აფარებს და წინააღმდეგია მათი მოსპობისა. ის, უეჭველია, ხემძღვანელობს ღვარძლიანობით და ან უგნურებთო. სასურველი არ არის, იმისთანა წრეში ითვლებოდეს რო-

მელიმე მწერალი და მათში ბატონი აკაკია.  
სწორედ კარგად არის ნათქვამი, თუ მართლა ეს ასეა... მაგრამ, რომ ეს სულ ტყუილი გამოდგეს და ის წრე, რომელშიაც აკაკი ჩამდგარა, მაგისთანა არას აშავებდეს, მაშინ რაღა უნდა მოგახსენოთ ბატონ უმიკაშვილსა და მის მედასტურებებს? რასაკვირველია, ჩვენ არ მივსცემთ ჩვენ თავს ნებას, რომ გავკადნიერდეთ და მათებურად ან „ღვარძლიანობა“, ან „უგნურება“ და ან სხვა რამე ამგვარი შევსწამოთ, მხოლოდ მოგახსენებთ, რომ ყოველივე ის, რასაც ჩვენ გვეწამებია, ტყუილია, მათივე ოცნების ნაყოფია და ჩვენ ტყუილად გვახვევენ თავზე...  
აბა, ერთი მიგვითითონ და გვიჩვენონ იმ ჩვენ სტატიაში მისთანა რამ, რომელიც ამართლებდეს იმათ ცილის წამებას, სიტყვა-სიტყვით კი ამოწვრონ, ნურც რასმე გამოსტოვებენ და ნურც თავისას ჩაუმატებენ. მაშინ ვნახავთ, სად არის სიმართლე და ვინ ამოფარებია იკლიკანტურებს...  
საკვირველია, რათ ასხვავებენ და თავისებურად ჰხსნიან ჩვენი წერილის აზრს?! მაგალითად, ჩვენებურ ტირილის შესახებ ვამბობდი, რომ ეს ჩვეულება ძველად საქორავნო იყო, დღესაც კიდევ სასარგებლოა და სამწუხაროა, რომ ყველგან აღარ არის, ზოგან გადავარდნილა და ცუდი შედეგიც მოჰყოლია თან, მაგალითად, ქართლ-კახეთში, სადაც



# ქვილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

## მიხილ გედვანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ააგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

## ბელაგოვი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

### დ ი ლ ი თ:

**3. ი. შინაგან**—კბილის სნეულენი, 8—10 საათ.

**მიხილ გედვანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონი, 9—10 საათ.

**პ. ბ. ფაღვანიშვილი**. შინაგან და პავსტისა, 9—10 ს.

**ბ. ბ. მაღალაშვილი**.—შინაგან; სამშობლოთა და ხუთშობაობით, 10—11 საათ.

**6. ა. მულინი**—ყურისა, ყელი-სა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალაშვილი**—კბილის სნეულენი, 10—12 საათ.

**მიხილ-ბალი ბ. ხ. ბაძრაძე** ბავშვებისა—11—12 ს.

**დ. ა. გედვანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი, 12—1 საათ.

**ა. ბ. ბარსუკი**—დედათა სნეულენი, ორშობაობით, ოთხშობაობით და პარასკეობით 12—1 საათ.

**ი. დ. ბებთაშვილი**. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1 1/2—2 ს.

### ს ა ლ ა მ ო თ ი:

**ი. ნ. თუშანიშვილი**—დედათა სნეულენი, 5—6 საათ.

**ქ. მ. ვლირიშვილი**.—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 7—8 საათ.

აღარც გადასახურავი და აღარც მიტირილი იციან მეთქი. ეს ადვილად გასაგებია აზრი რომ უკუღმართ გაუგიათ,—ეს ხომ ჩვენი ბრალი არ არის. მეტი აღარა დაგვრჩენია, რა, რამ ხელი ჩავკიდეთ მათ, მივიყვანეთ და ვაჩვენეთ ადვილობა.

აი რას დაინახვენ: მთელი სოფელი თანამოზიარობას იჩენს, თვითვეულ მათგანს ქორში ეწვევიან და ისე ასაფლავებენ მიცვალებულს, რომ ქორისუფლებს არა აკლდებიან და ისეთ ცეცხლში არ ვარდებიან, როგორც აქ, სადაც ამ ძველ ჩვეულებებზე ხელი აუღიათ, გადაუღლიათ და ხარჯი კი მართაოჯახს აწევა. ერთი სიტყვით, სწორედ ისე, როგორც ჩემ სტატიაში იყო აწერილი ვრცლად. ეს დახმარება ნებაყოფლობით არის განაწესებული, სოფელელების საკუთარ სურვილზე აგებული; მათი საკუთარი გრძობა-გონების ნაყოფი, სად არც კულაბიკობა ეჩრება და არც ჩაფრები ატანენ ძალას და მიტოვებ; არა თუ მართა მატერიალურად, ზნეობრივ მხრითაც მოსაწონი და სასურველია.

ამებს რომ ნახვიდნენ, მაშინ, რასაკვირველია, აღარ იტყოდნენ მისთანა სასაცილო რამ ოცობილის, რომელიც პეტრეს პირით გვითხრეს: „ბატონ აკაკის დავიწყებია, რომ ერთი დოქი ღვინო ვისაც მიჰქვს, თან თხუთმეტი კაცი მიჰყვება, რომელთაც ის დოქი ღვინო ყლაპა-

### კ ვ ი რ ა მ ო ზ ი თ:

**ბ. ბ. მაღალაშვილი**—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

# ახალი ამბავი

\* \* \* სახელმწიფო ბანკისა და სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტის შეთანხმებით ნება დართეს ამ ბანკისა და ხაზინის დაწესებულებათ, რათა მომავალ წლის თებერვლის დამდეგამდე მიიღონ ქალაქის ფულები—5, 10 და 25 მანეთიანები 1887 წლის ნიმუშისა და 100 მანეთიანები 1886 წლის ნიმუშისა, რომელთა ხმარების ყველი მომდინარე წლის დამდეგს უნდა გათავებულყო.

\* \* \* სადგურ ფოილოდამ იწერებოან, რომ 24 ამ თვეს შუალამისას ფოილოდამ მიმავალ მატარებელს სადგურს ახლო დაცენენ ყაჩაღები, დაწყვიტეს პლამბები, გასტყვეს ერთი ვაგონი, რომელიც შაქროთ იყო დატვირთული. მატარებელი შეაყენეს, დააბრუნეს უკანვე სადგურში და გათენებამდე შეიარაღებულები ჰყარაულობდნენ. ყაჩაღები შესდგებიან 5—6 კაციანგან და თურმე მოსვენებას არ აძლევდნენ არც მცხოვრებთ და არც სადგურს.

\* \* \* კვირას, 26 ნოემბერს, ქართულ თეატრში წარმოადგინეს მელოდრამა „პარიზის ღარიბ-ღა-

ტაკნი“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო.

\* \* \* ხილველობის ფასი ერთობ დაეცა ქალაქის ბაზარზე. კვირას, 24 ამ თვისას, ფუთი ვაშლი სამ აბაზად იყიდებოდა. გამყიდველნი ჩიოდნენ, რომ გზისა და გაცდენის ფასში ვერ გამოვიდვიართო.

\* \* \* მთავრობის გადაწყვეტილებით ს. მუხურდიანი (სენაკის მაზრა) ახალ სენაკამდინ უნდა გაეყიდეს საფოსტო გზა. გზის გაკეთება უკვე დაიწყო. გზამ უნდა გაიაროს ს. ზონა, სადაც მთავრობა მეოთხე საბოლიციო განყოფილების დაარსებას აპირებს.

\* \* \* სიცივეების დაქერისათანავე ქალაქში ბლომად ჩამოაქვთ სოფელელებს დაკლული ფრინველი: ინდაურები, ქათმები, ბატები, იხვები და სხვ. ფასები სამტრედიისა და ხონის ბაზრებისაზე უფრო ნაკლები თუ არის, თორემ მეტი არა.

\* \* \* ბათუმის დამოქანა აცხადებს, რომ თანახმად ფინანსთა მინისტრის განკარგულებისა (1901 წლ. 2 ნომერ. № 25068), ამიერიდან აღარ არის საჭირო ბათომიდან ფოსტით ამანათები დამოქანაში წარადგინონ. შესამოწმებლად და დამღების დასაკრავად, როგორც აქამდე იყო შემოღებული.

\* \* \* ამ თვის 29-ს ძმ. ნიკიტინების ცირკში დანიშნულია ვრცელ პროგრამიანი წარმოდგენა, რომლის შემოსავლის ერთი წილი გადაეცემა წყალში ღალრჩობისაგან გადარჩენის საზოგადოების აქაურს გამგეობას.

\* \* \* ამას წინაღ თერვის ოლქის მუხურდიისათვის ნ. პ. ტულჩინსკის

დოთ ისევ ისე შემოიღონ?! არა, აქაო და ძველებურია, უთუოდ უნდა ახალზე გადავცალოთო? ჯერ დაგვიტკიცეთ, რომ ეგ თქვენი მოწონებული სამარხი კასები უკეთესია ჩვენ ზემომოყვანილ, მაშაპაპურ ჩვეულებებზე და მაშინ დავთანხმებით. ჩვენ რომ კიდევ გავკერპდეთ და ჯინზე დავდგეთ, ცხოვრების კანონი მაინც თავისას იზამს და სუსტი ძლიერს დაუთმობს; ცუდი კარგს და კარგი კიდევ უკეთესს.

მაგრამ საქმე ის არის, რომ თქვენს სიტყვას ვერ დაუჯერებთ, მით უფრო, რომ გამოცდილი ვართ... იქ, სადაც არჩევანებზე საქმე და არჩეული პირები აწარმოებენ, ჯერ-ჯერობით სასიკეთო არა სჩანს რა, რადგანაც თავისუფალი არჩევანი არ არის და გარეშე ძალა ურევია, რომელსაც სადავე მაგრად უჭირავს ხელში. ხომ გასოგვსთ, რა აღტაცებით მივეგებეთ ერთ დროს მაგვარ რამ ახალ წეს-წყობილებას?—სად არ ვაგმართეთ დებოები, ბანკები და შემნახავ-კამსახელები საზოგადოებანი? საგარეჯოშიო, კავთისხევშიო, კორშიო, თელავშიო... ასგან და ორასგან. ეს საქმეები სულ არჩეულების ხელში იყო, ინტელიგენტნი განაგებდნენ და რა გამოვიდა? სად არიან? რა იქნენ და რა სარგებელი მოგვიტანეს?

თქვენ შეგიძლიათ სთქვათ, რომ ეს ყოლიფერი გამოუტყდელი ბრალი იყო, ყოველ საქმეს დრო უნდა და შესწავლია, თორემ თავის-თავად ყველა ის ჩამოთვლი-

შეუწირავს ძვირფასი არქეოლოგიური ნაშთი,—კარგად გამოიწვიარი თიხის. ნაჭერი თიხაზე ჩინებულა დატულია ქანდაკება ზისა, რომლის ჩრდილს ქვეშ ხიდან ჩამოწეულ ტოტებიდან ხილს სჭამს ორი შველი. შველთა ქანდაკების ქვეშ აქვთ ქართული წარწერა ძველი ხუცური მთავრულით. ერთის შველის ქანდაკებაზე ჯვარიც არის გამოსახული. ეს საინტერესო ნაშთი უნახავთ მდინარე ასის ხევში, ტრაბა-ერდის ვაკლესიის ნანგრევებში. („Перек. სხდ.“)

### წმილი ბარის ოსმთიდან.

როგორც ღრმად მოსუცი ოსები გარდმოგვცემენ, წლეგანდლისთანა სიმინდის მოსავალს აქვთ თითქმის რომ ჯერ არავინ არის მომსწრე. წინა წლებში, როცა დესეტინაზედ ხუთიდან რვა ურამადე სიმინდი გამოდიოდა, წელს ათიდან თხუთმეტ და ოც ურამადე მოუვიდათ (ურემში 15—18 მერკა გამოდის). თივის მოსავალიც კარგი იყო წელს აქეთ. მიუხედავად ამისა, ამ ჟამდ სიმინდი და თივა კარგადა ფასობს კავკავში, მაგალითებრ: სიმინდი ათ შაურამდე მერკა და თივა ურემი ოთხიდან ხუთ-ექვს მანეთამდე. სიძვირის მიზეზი ის არის, რომ შინდა რუსეთისკენ ბლომად ეზიდებიან. კარტოფილიც შესამჩნევად გაძვირდა.

ნათქვამია: მგელს მგლობა ერქვა, ტურამ ქვეყანა ამოადლო, სწორედ ოსებიც ასე იქცევიან. საქმე იმაშია, რომ, რაკი მათ მეზობლად ქიშტები სცხოვრობდნენ, უნდათ ყველა ბოროტ-მოქმედებანი

ლი საქმეები დიხ კარგი იყო. კეთილი და პატიოსანი, თანახმა ვართ, მაგრამ სანამდ უნდა გიცადოთ? სანამ თქვენ სამარხ კასებს ფეხზე დააყენებთ, მინამდის რად გვისპობთ იმას, რაც დღეს ჩვენთვის სასარგებლოა? დეე, იყოს ეს ამენებული, სანამ ახალს არ აგვიშენებთ... თქვენ კი გინდათ, რომ ჯერ ძველი ტაძარი დაგვიგრიოთ და მერე ზედ ნანგრევზე ახალი ვითომ უკეთესი აგვიშენოთ?—კი, მაგრამ ვი თუ ეს არ გამოდგეს და ჩვენ ციხე-დარბაზებზე საქთმეები აგვიშენოთ! დღევანდელი კვერცხიც დაგვაკარგვიანოთ და ხვალინდელი ქათამიც სხვას დარჩეს?! ნათქვამია, სიფრთხილეს თავი არა სტივიაო, ჩვენც რომ ფრთხილად ვიყოთ და დასტური ვერ მოგვცეთ საქმეწინა საქმეების შესახებ, ან „ღვარძლიანობას“ რათ გვეწამებთ და ან უგნურებას რათ გვიკეთებთ, თქვე დალოცვილებო?..

ახლა გადავიდეთ იმ სხვა-და-სხვა ჩვეულებებზედაც, რომელიც იმ წრეს, სადაც მე ვდგავარ, მოსწონს და თქვენ-კი, ახალი დროის მიხედვით, ლიბერალურად უკეთებთ... მაგრამ რომ თვითვეულ მათგანზე არ გავიხედვს საუბარი, საერთოდ მოვიყვან იმ სატარს, რომელიც მათ შესახებ გვექონდა მე და ერთ ახალ-მოდის მოძღვარს. შემხვდა თუ არა ერთი ჩემი კარგი ნაცნობი, ცივად მომხალა: საწყენად კი ნუ მიიღებთ, პირში მთქმელი ვარ, და ძალიან ან მომიწონა თქვენი სტა-

სულ ქიშტებს ქვეყანაში... მაშინ როცა... შორისაც ბევრი ბოროტ-მოქმედა ავაზაკი. ამ სიტყვებით, რაკვირველია, ის არ მინდა ვსთქვოდნა რომ ქიშტები ოსეთში არაფერად დასტოვდნენ, პოქით, ქიშტები ძლიერ აწუხებენ ავიწროვებენ ოსებს, მაგრამ რამეყვანდა კუდიანი, არც მე ვიქრისტიანიო“, ამისი არ იყოს, ოსები არიან უმანკო კრავები.

მაგალითად, დიდხანია კავკარკინის გზის დარკობის სადგურს შენიშნული იყო, რომ იკარგებო სხვა-და-სხვა გვარი საქონელი, ფჩეულობა, მგზავრების ავეჯი და ყველა ეს ქურდობა, რასაკვირველ უფრო შენიშნებისას ხდებოდა ულად შეუმჩნევლად, ასე რომ კვადვერსად მიეტანათ.

ბოლოს საიდუმლო გამოცხადდა გამოვიდა მთხრობელი, თვით მთავანივე და შეატყობინა რაკყველა იმ ქურდობის მიზეზი, რმელიც-კი დარკობის სადგურს ხდებოდა, ნახევარი ვერისის მომრებით სოფ. ქარჯინში მცხოვრსამი კომლი ოსი—დუღარა ხამაყოვი, აზამათ ქუცოვევი და ბიმიზავევი იყო. ამ რიგად მთხრბელმა ოქტომბრის რვას თავს დასხა მოულოდნელად აღნიშნულ ოსებს მეორე ნაწილის უფრო თავისის „მილიციონერებთა“ დარკობის რკინის გზის სადგურქანდარმი. დაიწყეს სახლების ჩხკვა და რა არ გინდათ, რომ ამხლემში არ იპოვენს. სხვა ნიფეშორის იპოვენს აგრეთვე ერთძვირფასი ხატიც (ეს სამი კომდა სოფელი ქარჯინიც მაშადა ოსები არიან). რასაკვირველ

ტია „ივერიაში“ რომ იყო დაბდილი!

— ძალიან ვსწუხვარ, მაგრამ, ნურაფერს უკაცრავად,—როცა ისა ვსწერდი, მაშინ თქვენ სულ არ გამხსენებინართ, ვუბახუხებ მე— განა მარტო მე?.. ბევრს სხვსაც არ მოსწონთ...

— არც ისინი მყოლია სახეში მე მხოლოდ ჩემი აზრი წარმოგსქვი ჩვენ საერო ზნესა და ჩვეულებზე.

— და კიდევ ეგ არის სამწურო, რომ თქვენისთანა კაცი ხეაფარებს დრო-მცვეთელსა და გამუსადეგარ მაშაპაპების დამხავებუსა და დაობებულ ჩვეულებას!

— ხელის დაფარება სხვა არ და გამოსარჩლება სულ სხვაია! რცა უსაფუძვლოდ ჰკიცხავენ ჩეწარსულს და უმიზნოად უკეთებენ... მგონი უფლება მაქვს, რმეც ხმა ამოვიღო და ჩემი აზ გამოვსთქვა.

— კი მაგრამ, რაც დროს აღშემფერის, იმაზე ლაპარაკი აღბღირს.

— საუბარი თქვენ არ აღძარი მე მხოლოდ მოპასუხე ვარ... მხოლოდ რჩევას ვაძლევ და თქმკი ბრძანებასა სცემთ.

— კიდევ ეგ არის, რომ ეგრვა დროს შესაფერი არ არის. თუ გნებავთ, მაგალითად, ავიღწ „საკურთხი“ (ტაბლა). თვითონშემხებება ეგ, მაგრამ არ შემძლე არა ვსთქვა, რომ ეგ ჩვეულება ღდადასულია, დღევანდელი დღის



ყველა ნივთსავედ ოქმი იქმნა შემდგარი და დამნაშავენი შეპყრობილ იქმნენ.

თერთმეტს ოქტომბერს, დამის პირველის ნახევარი იყო, რომ ბესლანის რკინის გზის სადგურზედ თოვების სროლა ასტყდა. როგორც აღმოჩნდა, სადგურზედ ფარჩეულობით დატვირთული ვაგონი თურმე იდგა. ეს შეემჩნიათ ქურდებს, შუადამისას მისულიყვნენ ვაგონის გასატყუებლად და ორი დიდი ცალი ჩითეულობისა კიდევაც გაეტანათ, მაგრამ ეს არ ეკმარებინათ და ახლა სხვა ცალეებისათვის მობრუნებულყვნენ. სწორედ ამ დროს მიდგათ ამავე სადგურის ჟანდარმი, სწვდა ერთსა და დიქირა, მაგრამ ქურდს დანარჩენი ამხანაგები მიეშველნენ და განათავისუფლეს, გაიქცნენ და ჟანდარმს სროლა დაუწყეს. ჟანდარმაც სროლითვე პასუხი მისცა, იქ მდგომმა ორთქლმავალმაც კვილი მორთო, გამოვიდნენ მდევრად იქვე ნაწილის უფროსის სადგომიდან მილიციონერები და დაუწყეს სროლა, მაგრამ, საბედნიეროდ, თოვის სროლამ ორივეს მხრივ უზიანოდ ჩაიარა, ხოლო ჟანდარმა ორი ქურდი იცნო, რომ იქვე სოფელ ბესლანში მცხოვრები ოსები იყვნენ. მეორე დღეს, თორმეტს, საქმის გამოსარკვევად, სადგურზედ მოხდინდა თვითონ ბ-ნი თერგის ოლქის უფროსა ტოლსტოვი და ჟანდარმისაგან ნაჩვენები ბესლანელი ოსები შეიპყრეს.

სოფ. დარკანში მცხოვრებთ თავიანთ შორის რვა კაცი დაასახელებეს, როგორც ქურდობა-ავაზაკო-

უფერებელი და სასაცილო. აბა რა არის: დაწყობენ ხონაზე სხვა-დასხვა შექამადებს და ავზავნიან საყდრებზე. აკურთხებენ, მღვდელი გასტენს ხურჯინს და მიაქვს საღვთო. ეს ამდენი, აუარებელი ხორაგი, რომელიც თითქმის ტყუილად ფუჭდება, არც სულს არგებს და არც ხორცს. მე ჩემს მრევლში კიდევაც ავკრძალე ეს ჩვეულება და საკურთხეს არ მივიღებ ხოლმე.

— ძალიან ცუდათ ვინებებია... მგლის შიშით ფარა ვის გაუწყვეტიაო, ხომ გავიგონათ; თქვენ რომ ძველებურ ჩვეულებას ვეღარ ახერხებდეთ, თვით ჩვეულების რა ბრალია! ქირისუფალი მიტომ კი არ ჰგზავნის საკურთხეს, რომ ის მღვდელმა დაისაკუთროს და რასაც ვერ მოყრევა, გადაყაროს; ის არის დანიშნული მშობრებისა და ღარიბებისათვის: ისინი სჭამენ და მკვდრის სულს ლოცვა-კუთხევით მოიხსენიებენ.

— ვისა აქვს მაგის თავი და დრო, რომ მშობრები ეძებოს?

— ისინი თვითონ მოვლენ. ან და განა ცოტანი არიან თქვენს მრევლში ღარიბები და ქვრივობლები? თქვენც რომ აიღოთ ის საკურთხე და იმათ აქეთ-იქით დაუროგოთ, ამითი რა წახდება? ქირისუფლები გულს დაიმშვიდებენ, მწუხარებას მოიხებენ, ქვრივობლები მადლობელი იქმნებიან, თქვენც მრევლის გულს მოიგებთ და რა გენადღობათ? ბძანებთ, მაგისთვის ვის სცალია და სად არის დრო?

ბაში მრავალჯერ შენიშნულნი, შეუღლებს განაჩენი და სთხოვეს მთავრობას, გადასახლეთ და მოგვაშორეთ სოფლიდან და მაგათ ცოლ-შვილის შენახვას ჩვენ ვიცისრებთო.

სოფ. ნებითი-ქრისტინაში ცხრამეტს ოქტომბერს, დამე, ერთი საცოდაობა მოხდა. გამათა ავსარაგოვის ბაქში შესულიყო ვიღაცა ბოროტ-მოქმედი და შვიდი სული საქონელი ხანჯლით დაეჩხვლიტა. მეორე დღეს მნახველნი საბრალო პირუტყვების საცოდაობით მთლად ვიწოდით. ბოროტ მოქმედი ჯერ არ აღმოუჩინათ.

ხუთს ნოემბერს, დამე, დიგორელ მეცხვარეებს ყუბადიეველის მამულში ავაზაკები დაეცნენ. ერთი მეცხვარე გაუძლიანდათ, ქურდებმა დასცეს ბერდანკა და იქვე მიაწვინეს საბრალო, შემდეგ გაირეკეს შეიდას სულამდე ცხვარი და გაუდგნენ გზასა. მდევარმა გარეკილ ცხვრის ჯოგის კვალი სოფ. ნოგუაში მიიტანეს, მაგრამ ცვრები ვეღარ იპოვნეს. ამბობენ, ქურდები ოსებთაგანნი იყვნენო, რომელთაგანაც ზოგი კიდევაც შეუპყრიათ.

ექვსს ამავე თვეს სადგ. ნიკოლაევკის ადგილებში ალაგიერელ მეცხვარეების ფარებს დაეცნენ ქურდები, გაირეკეს თხუთმეტ სულამდე საქონელი და გაუდგნენ გზასა.

ოთხს ამავე გიორგობის თვეს დიგორის ხეობაში ცხვარი მოუდიოდა ერთს გალიათელს ოსს. საბრალოს ხეობაში თურმე დაუღამდა, გზა ვეღარ გაიგნო და კლდებზედ

— ეგ სულ სხვა არის!.. თვითონ ეს ფორმა საკურთხისა აღარ არის დროს შესაფერი. აბა სხვაგან სადღა არის?

— კეთილი!.. მაგრამ წირვაზე, „განიცადის“ დროს, როცა უღიდეს საიდუმლო ჰსრულდება, ღანგრით რომ ჩამოივლის ხოლმე პრიჩეტნიკი, სულთამბუთავივით დაადგება თავზე მლოცველს და სირცხვილ-ნამუსში ავდებს: გინდა თუ არა, ქისას გაიკარ ხელი, ამოიღე ფული და დადვი ამ ღანგრზეო, — ეს რაღა არის?

— აქ ძალას აბა ვინ ატანს? ეს დღეს სხვაგანაც არის მიღებული.

— დიახ.. ეგ კარგი ყოფილა, ამიტომ რომ ახალი შემოდებულთა და ჩვენებური საკუთხე-კი სასაცილო, რადგანაც ჩვენი მამა-პაპების შემოდებულთა და გადმოცემული, სხვა არაფერი. ჩვენი უბედურება ის არის, რომ კაქკაობა და მიიმუნობა გავგიტაცა. ჩვენი საკუთარი რამ აღარა გვაქვს რა, სხვის სიტყვებს ვიმეორებთ და სხვებსა ვბაძვთ, მიუხედავად მისა—ავია, თუ კარგი! აი თუ გინდა ახლა ის ავიღოთ, რომ „დღეობა“ (ხატობა) ნუ-ღა იქნება, უნდა გადავადრდესო, რომ ბრძანებთ, კარგია?.. სოფლებს ერთი დღე აქვს წელიწადში დადებული სადღესასწაულოდ. იმ დღეს ღმერთსაც იფინებენ და დროებასაც ატარებენ, იმათ ხომ კლუბი და სობრანიები არა აქვთ, რომ ერთმანეთი ნახონ ხოლმე, და

გადავარდა. უპატრონო ცხვრის ჯოგი მგლებმა გაფანტა და დააზარალა.

წრეულს აქეთ შემოდგომა ძრიელ წვიმიანი და ტალახიანი.

ქართული ოსებში.

### საზაასო

საქმეში ჩახედულის მეტამორფოზა. (პასუხად ბ-ნს ყუმისთაველსა)

ბ-ნი ყუმისთაველი საქმეში ჩახედულობას ჩემულობს; მაგრამ სჯის კი ისე, თითქო საქმის გარემოებისა არაფერი იცოდეს. აი რა უცნაურად ხსნის იგი წერა-კითხვის საზოგადოების ახლის გამგეობის ერთს დადგენილებას. ამ გამგეობას ბ-ნმა გოთუამ, კავკაისის სკოლის გამგემ და თავმჯდომარემ იქაურის სამხრუნველსა, თხოვნა გამოუგზავნა, ორივე თანამდებობიდან გამანთავისუფლეთო. ეს თხოვნა გამოიწვია იმ ინციდენტმა ანუ შემთხვევამ, რომელიც მოხდა საზოგადოებაზე და რომელიც ისე გააშფურალა ბ-ნი გოთუა. გამგეობამ თურმე უხერხულად და შეუძლებლად სცნო ამ ჟამად, სამოსწავლო წლის შუაგულში, ასეთი დიდი ცვლილების მოხდენა სკოლის გამგეობაში და ისიც ერთბაშად და ამიტომ სთხოვა ბ-ნს გოთუას დარჩენილიყო ორსავე თანამდებობაზე. სწორედ ჩინებულად მოქცეულა გამგეობა. მეც, ამ სტრიქონების დამწერი, უთუოდ ბანს მივცემდი მას, თუ რომ გამგეობის წევრი ვყოფილიყავი. რად? იმიტომ რომ ყოველი ამ გვარი საარსო ცვლილება თხოულობს შესაბამს დროსა,

იმ დღეს-კი ნათესავ-მოყვრები ერთმანერთსა ჰხედავენ, ქორსა და ღებინს ერთმანერთს უზიარებენ; საქმესაც ხშირად აკეთებენ. მაგალითად, ქალს აჩვენებენ და ნიშნენ, გაათხოვებენ, ერთმანეთის საჭირებისა და ავკარგს გაიგებენ და ათასი რამ ამგვარი წვირილიანი საჭირო და ცხოვრებაში გამოსადეგი რიგდება ხოლმე. აქ კარგის მეტი, რა არის ცუდი? ეს უნდა მოვსპოთ? და მერე რა დროს? როცა ორი კაცი ერთმანეთს ვეღარ დავლაპარაკებთ, რომ მესამე შუაში არ ჩავგვიხროს და მეზობლისა ვეღარ მივსულვართ. ნება დაურთველად და მარკა დაუკერვლად. ეს შესისხლხორცეული ჩვეულება უნდა გადავადგოთ, მოვშალოთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგჯერ სტუმრებს სიმთვრალის დროს ჩხუბი მოუვით ხოლმე? რა მიზეზია, რომ ძველ ჩვეულებას ცილსაც-კი ვეწამებით ხოლმე და ისე ვიწუნებთ. მაშინ, როდესაც ახალ ჩვეულებაზე, მაგალითად, დუქნებზე, ტრაქტორებზე და ამ გვარ რამ საფუნდრუკოებზე, სადაც სისაძაგლის მეტი არა არის-რა, ხმასაც არ ვიდებთ?.. აქ რაღაც სხვა მიზეზი უნდა იყოს და რატომ არ დავფიქრებთ? — კი, მაგრამ თქმას დრო უნდა, ზოგჯერ ქეშმარიტების თქმაც საფრთხილოა. რასაც თქვენ ბრძანებთ, ეგებ ახლა უდროვია. — ქეშმარიტების თქმა უდროვია არაოდეს არ არის. მიგიხვდი საი-

მშვიდობიანად მოფიქრებას, მომზადებასა, ჯეროვანს ნებართვასა. უცები საარსო ცვლილება, უდროულროთ მომხდარი, სკოლას შეარყევს, შეაფრხებს. ახალს გამგეობასაც დრო და არც სხვა გარემოებანი ნებას არ აძლევდნენ შესულიყო ახლავე იმის გამოძიებაში, თუ რამდენად მართალია ის უწყსოება კავკაისის სკოლაში, რომელსაც უჩივიან კავკაველი ქართველები, და არც შესულა ამის ძიებაში, არც იმაზე ჰქონებია მსჯელობა, ახლანდელი გამგეობა სკოლისა ნორმალური და სანატრელი, თუ ანორმალური და მაზიანებელი. მან აწინდელი წეს-წყობილება ხელუხლებლად დასტოვა, ვიდრე საქმის გარემოებას ყოველის მხრივ შეისწავლიდეს და სანატრელს გზას დაადგებოდეს.

ბ-ნი ყუმისთაველი კი ამ გადაწყვეტილებას სამუდამო, პრინციპილურს მნიშვნელობას უსაკუთრებს და აუწყებს მკითხველებს, რომ ახალმა გამგეობამ ახლანდელი სისტემა კავკაისის სკოლის მართვისა და გამგეობისა სამუდამოდ მოიწონა, და ასეც უნდა მოქცეულიყო, რადგანაც ამ წეს-წყობილებას წინააღმდეგობას გაუწევს მხოლოდ საქმეში ჩახედული პირია.

მაშ კარგი, ჩავხედოთ საქმეში. როცა იმავე თავით, კავკაისის სკოლის დაარსების დროს, დირექტორმა თერგის ოლქისამ აწ განსვენებულმა გრუშევსკიმ მოითხოვა წერა-კითხვის გამგეობისაგან, რომ ამ სკოლის გამგედ დანიშნულიყო არა უმფროსი მასწავლებელი მისი, რაგორც ეს ყველგან არის, არამედ გარეშე პირი, საშუალო სასწავლებ-

თაც სცემ, მაგრამ დათანხმება არ შემძლია! აი, ამ ხეს ხომ უყურებთ, ფესვები აქვს, ღერძ-შტოები, შტოებზე ფოთლები და ამ გვარად ყველა ერთად შეადგენენ მთელ ტანს. რა ეთქმის იმ მებადეს, რომელიც თავის დროზე არც ფესვებს მორწყავს და არც შტოებს გასხეზავს იმ მოსაზრებით, რომ ფოთლები არ შევარხიო! ნუ თუ იმან არ იცის, რომ თვით არსებობა ხეშია და არა ყოველ-წლიურად მის გამონადებ ფოთლებში? ფოთოლი ზოგი დიდია, ზოგი პატარა, ზოგი გძელი და ზოგი მრგვალი, მაგრამ ყველა ერთად შემოდგომის დამდგეს დასცივდება და ზამთარში აღარც ერთი აღარ იქნება; გაზაფხულზე ხე ახალს გამოიღებს და ნუ თუ ფოთოლს უნდა შეეწიროს თვით ხე მისის ფესვებით და შტოებით? ამას უგნურობა იფიქრებს მხოლოდ!.. გროვნების ხეზე ჩვენც, — მე, შენ, პეტრე, პავლე, ყველა ერთად ფოთლები ვართ. ჩვენ დავცვიკნდებით და ხე ისევ გამოიღებს სხვებსა. მაშასადამე ფოთლების მოფრთხილება და თვით საგნის გაწირვა, — უნდა მოგახსენოთ, — ტყუილი სიტყვის ჩმახვა... გონიერი არ დაიჯერებს და ვისაც თავი ქვევრად გადაქცევა, ის, რასაკვირველია, რასაც ჩამახებთ, იმასვე ამოგძახებთ... — დალოცვილო, თქვენ სულ თქვენსას გაიძახით და ახლა სხვებისაც გაიგონეთ! — ხმა ღვთისა და ხმა ერისაო.

ლის მასწავლებელი, ეს მტრად მტრად ყინა მთელმა გამგეობამ და დასაჯებულა სკოლისათვის არა სასარგებლოდ; მაგრამ მოგვსენებათ, რომ ძალა აღმართა ხნავს, და გამგეობაც დამორჩილდა. როცა სამის წლის წინად ოფიციალურმა გამგემ სკოლისამ, გიმნაზის მასწავლებელმა ბ-ნმა კახიძემ, ხელი აიღო სკოლის მართვაზე, გამგეობამ ხელახლად მოინდომა აღედგინა თვით-გამგებლობის პრინციპი თავის სკოლაში, მაგრამ კიდევ უარი მოუვიდა, შესწუხდა, რასაკვირველია, და ახლა გიმნაზის მეორე მასწავლებელი ბ-ნი გოთუა გაამწესა იმ იმედით, რომ ეს შინაურს გამგებლობას სკოლისას ფაქტურად უფროსს მასწავლებელს მიანდობდა და თვითონ კი იქნებოდა მისი ოფიციალური კანტროლიორი, ზედამხედველი. მაგრამ ახალმა გამგეობამ ამაგობინა თვითონ ყოფილიყო პირდაპირი მბრძანებელი, გამგებელი და ხელმძღვანელი სკოლისა და ამას მოჰყვა ის სამწუხარო მოვლენანი, რომელმაც გამოიწვია მისი თხოვნა თანამდებობისაგან განთავისუფლებისა...

ყველა ამისი იყო განკარგულება დირექტორის გრუშევსკისა. მის ადგილას გამწესებულია ამ ჟამად კეთილ-გონიერი, და კანონის მიმდევარი დირექტორი ბ-ნი სავიჩი. ეს ადგილად დასთანხმდება იმაზე, რომ ნორმალური, კანონიერი წესწყობილება აღდგენილ იქმნას კავკაისის სკოლაში. მაგრამ სწორედ ამ დროს, როცა ჩვენის კეთილი სურვილის მიღწევა შესაძლოდ გახდა, ბ-ნი ყუმისთაველი და მისნი თანამაზრენი უეცრივ აიგსნენ სიყვარულით იმ უკუღმართის

— კიდევ ეგ არის, რომ სხვანაირად გესმით ერთი და მისი ხმა: ხშირად ბრბო ჩვენ ერთი გვგონია და ყოველ-დღიური ქორი-ხმა ღვთისა, მაშინ, როდესაც მათში დიდი განსხვავებაა: ის ხმა, რომელიც უღრის „ღვთის ხმას“, ყოველ-დღიური მითქმა-მოთქმა კი არ არის, საუკუნოების განმავლობაში ხალხის გრძნობა-გონების ბრძმედში გატარებული და ბოლოს სამარადისოდ დადგენილი ქეშმარიტებაა. მთელი იერუსალიმი ჰყვიროდა: „ბარაბა ავაზაკი გაუშვით და ჯვარს აცვიოთ ნახარეველიო,“ მაგრამ ეს მაინც ბრბოს მითქმა-მოთქმა იყო და არა ხმა ერისა... და ხმა ერისა მხოლოდ ის გამოდგა, რომელმაც აღიარა იგივე ჯვარ-ცმული მაცხოვრად. ეჰ, რაღა ბევრი ვსთქვათ?! — საწყენი ის-კი არ არის, რომ ჩვენ ჩვენს აზრს დაუფარავად ვამბობთ, სამწუხარო ის არის, რომ დღეს „ბურთი და მეიდანო“ უგნურებას დარჩენია და უმეცრება კუდაბოკა ლიბერლობაზე გადამჯდარა და თვითონაც არ იცის საით მიაქნებს და რისთვის?... ვისაც ასხან ყურნი სმენად — ისმინონ.

აკაკი.



წესწყობილებისადმი, რომელიც წინადაც მანგებლად მოაჩნდა, და მზად არიან ეთ თვით-გამგებლობის პრინციპის გაუქმება სამუდამოდ დაიცვან არამც თუ კავკასიაში, არამედ ბათუმშიც კი ვადიტანონ, და ყველას, ვინც კი ამის წინააღმდეგია, უვიცოდ და საქმეში ჩაუხედველად სთვლიან.

აი, სწორედ საოცარი მეტამორფოზა, რომელიც მართლა რომ ავრღიუსსაც ვერ მოაყვარებოდა!

გ-ლი.

# დებემა

(რუსეთის დებემათა სააგენტოსადმი)

24 ნოემბერი.

**ხარკოვი.** დაიხურა სამთო მრეწველობის წარმომადგენელთა კრება. კრების საბჭოს თავჯდომარედ ამოარჩიეს ავდაკოვი.

**ბარლინი.** ახალ საიმპერიო ბიუჯეტში 58,900,000 დეფიციტია ნაჩვენები. აქედან 24 მილიონი უნდა დაიფაროს ცალკე სამთავროების შემოსავლიდან და 35 მილიონი სესხით.

**პარიზი.** სენატმა, 224 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 43-ისა, მიიღო სესხის კანონ-პროექტი. უმადლესმა აკადემიურმა სადისციპლინო საბჭომ გააუქმა დიჟონის სადისციპლინო საბჭოს დადგენილება, რომლის ძალითაც პროფესორი ერვიე სამსახურიდან დაითხოვეს. სოციალისტმა ვივიანიმ შეატყობინა მთავრობას, რომ იგი შეეცდებოდა ამ საქმის გამო პარლამენტში მთავრობას.

**ბაბაზა.** „რეიტერის სააგენტო“ ირწმუნება, რომ ბურების დელეგატების უკანასკნელ თათბირის დროს ბრიუსელში ლაპარაკი არ ყოფილა დროებით ზავის ჩამოგდებაზე.

**ბრიუსელი.** გაზეთი „Petit Bleu“ კატეგორიულად უარს ჰყავს იმ ხმას, ვითომც ინგლისსა და ბურებს შორის მოლაპარაკება იყოს მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე. ბურების დელეგატები ყოველთვის მზად არიან განიხილონ ზავის ჩამოგდებას შესახებ წინადადება, თუ ამ წინადადების საფუძველი რესპუბლიკების შემოერთების მოთხოვნისგან არ იქნება.

**ლონდონი.** „Times“-ს სწორედ შანაიდან: „ინგლისის კომისარი ჯემს მაკკეი 8 დეკემბერს შანაიდან ნანკინის მმართველის ვუჩანგის ს.ნახავად წავა. იმედი აქვთ, რომ მაკკეის დაბრუნებისას შენგი იმდენად გამოკეთდება, რომ შეიძლება მოლაპარაკების დაწყებას სავაჭრო ხელშეკრულებათა გადასახად უფრო ცხადდება, რომ შეუძლებელია არსებულ სიძნელეთა დაძლევა, თუ სახელმწიფოები არ დასთანხმდებიან შემოსატან საქონელზე ბაჟის შესაძენვე მომატებას; სამაგიეროდ ჩინეთის მთავრობა თანახმა იქნება სრულებით მოსპოს ლიკინის გადასახადი, თუ ისეთივე გარანტიები იქნება, როგორც ნაჩვენებია 1885 წლის პონკონგის ხელშეკრულების მეშვიდე მუხლში.“

**პეკინი.** იან შიკაის აქ ყოფნის

მიზანია, რომ დაითანხმოს სახელმწიფოები ტიანძინის ადმინისტრაციულ საქმის მისდამი გადაცემაზე. იგი ყველა ელჩებთან იყო და სკდინოლბდა დაერწმუნებინა ისინი, რომ მას გადაწყვეტილი აქვს აღადგინოს წეს-რიგი ტიანძინსა და პროვინციებში. რუსეთისა, ამერიკისა და იაპონიის ელჩები არ არიან წინააღმდეგნი ამ წინადადებისა. მაგრამ დანარჩენი ელჩები იმ აზრისანი არიან, რომ პეკინში სასახლის დაბრუნებამდე საქირთა ტიანძინში დაცული იყოს, რამდენადც შესაძლებელია, საუკეთესო წეს-რიგი.

**335ა.** ლვიციდან მოსულ ცნობებით, ადგილობრივი პოლიციური განუთები იმ აზრისანი არიან, რომ დემონსტრაცია გერმანიის საელჩოს წინააღმდეგ უახროა და არავითარ სამსახურს არ გაუწევს პოლიციურების საქმესაო.

24 ნოემბერი.

**კონსტანტინოპოლი.** 24 ნოემბერს იდღესასწაულეს ელჩის ზინოვიევის 50 წლის იუბილევი; ეკლესიაში გარდახდილ იქნა პარაკლისი, რომლის შემდეგ მიულოცეს ელჩს: საბერძნეთის და იერუსალიმის პატრიარქებმა, ბოლგარიის ექსარხოსმა, სერბიისა და ჩერნოგორიის წარმომადგენლებმა, ბოლგარიის სადიპლომატო აგენტმა და სხვებმა. სერბიის მღვდელ დებეშით მიულოცა ელჩს იუბილევი.

**ბერლინი** გაზ. „Hordd. Zeit“-ის სიტყვით, საიმპერიო კანცლერმა მიიღო შარკიზი იტო ორივე მხლებლით და დიდხანს ესაუბრა მათ.

**ბერლინი.** რეისტრაცი. სადამოყენო ტარიფის შესახებ კამათი კიდევ არ დასრულებულა. ვიურტემბერგის მინისტრი პიშვიკი მიემხრო მთავრობის პროექტს, ხოლო წინააღმდეგი იყო პურზე ბაჟის მომატებისა. პროექტს იცავდნენ აგრეთვე ელზასის სტატუს-სეკრეტარის თანაშემწე შრაუტომი და ელზას-ლორენის დეპუტატი ვინტერერი. კამათი რამდენისამე დღით შესწყდა.

**ლონდონი.** გაზ. „Stand“-ს ატყობინებენ პრეტორიიდან, რომ ბურებმა ისევ გააძლიერეს თავის მოქმედება: ორანჯეს რესპუბლიკაში ბევრი იმათი რაზმი გაჩნდა, ერთი რაზმი ძალიან დადრ-ციხოვანია და, როგორც სჩანს, დევები ხელმძღვანელობს ამ რაზმს. ვილზონი 400 ბურით იმყოფება ბელფასტის ჩრდილოეთით; ბეიერის მიიწვევა სამხრეთით ზანდრიევპორტისაკენ; როგორცა სჩანს, იმას განზრახვა აქვს შეუერთდეს ბუდენგორსტომს ვარშადაის დასავლეთით.

25 ნოემბერი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია შემდეგი ბრძანება საერო განათლების მინისტრისა: 15 ნოემბერს, ხარკოვის საბეთალო ინსტიტუტის 1 კურსის 150 სტუდენტისათვის, რომელნიც აუდიტორიაში იყვნენ, ქიმიის პროფესორს უნდა წავეთხა ლექცია. პროფესორი შევიდა თუ არა, ერთმა სტუდენტმა განაცხადა, კურსის წარმომადგენელი ვარა, და გადასცა პროფესორს მოხსენება შემდეგის შინაარსისა: „ხარკოვის საბეთალო ინსტიტუტის 1 კურსის სტუდენტების მოხსენება ბანს პროფესორს.“

ბატონო პროფესორო, ვხედავთ რა თქვენს უსიტემოსა და დაულაგებელს გადმოცემას კოლების სახელმძღვანელო წიგნისა, რომელიც 80 წლებშია გამოცემული, პატივის ცემით შეგთავაზებთ დაუყოვნებლივ დასტავოთ კათედრა, რათა ამით მისცეთ შეძლება ეს კათედრა გადაეცეს პროფესორს, რომელიც სამდროვო ცოდნის შქონაა. 1901 წელს 15 ნოემბერს. ხარკოვის საბეთალო ინსტიტუტის 1 კურსის სტუდენტები. წავითხა რა პროფესორმა ეს მოხსენება, მიმართა სტუდენტებს სიტყვით და განუმარტა, 30 წლებზე ზეტია უნივერსიტეტში პროფესორად ვიყავ და 22 წელიწადია, რაც საბეთალო ინსტიტუტში ქიმიას ვასწავლი და პირველად მესმის ასეთი დაფასება ჩემის სწავლებისა. კოლებს სახელმძღვანელო, ჩემის აზრით, საუკეთესო წიგნია, მშვენიერის სისტემისა და ამასთან მოკლევ. რაც შეეხება ზოგჯერ წარმოთქმულ უქმყოფილებას, რომ ეგზამენის დროს ვითომ სასტიკად მოგკაცულვარ, ამაზედ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მე ყოველთვის ვთხოვლობდი ქიმიის იმოდენა ცოდნას, რომელსაც მოითხოვს ინსტიტუტის საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამა, რადგანაც ვიცი, რა დიდი მიწვენილობა აქვს ქიმიას ინსტიტუტის სხვა საგანთა შორისაო. მეორე სტუდენტთა განაცხადი, მეც კურსის წარმომადგენელი ვარა და ჰკითხა პროფესორს, გსურთ თუ არა, ამ მოხსენების შემდეგ დარჩეთ პროფესორად ინსტიტუტშიო. პროფესორმა უპასუხა, მასწავლებლობას მხოლოდ იმ მთავრობის ბრძანებით გავანებებ თავს, რომელმაც ჩამაბარა ეს მასწავლებლობაო.—ამ საქმის გამო 17 ნოემბერს მოხდა საგანგებო კრება ინსტიტუტის საბჭოსი, რომელმაც განუცხადა სრული პატივისცემა პროფესორს, ვითარცა უხუცესსა და ინსტიტუტის საქმეთა მუდამ ჟამს მომეტებულად გულ შემატკივარს წევრს, განაცხადა თვისი მწუხარება ამ შემთხვევის გამო და შეუდგა ამ შემთხვევის განხილვას ყოველის მხრივ. კრებამ პირველის კურსის სტუდენტების მოქმედება ერთხმად სცნო შემადრწუნებელ საქციელად, რომლის გამო სწავლის განგრძობა აუდიტორიაში შეუძლებელია, რადგანაც სტუდენტები უზდელიად მოექცნენ ინსტიტუტის საბჭოს და შემდეგ ხმის უმეტესობით დაადგინა: 1) სთხოვოს ინსტიტუტის დირექტორს დაუყოვნებლივ მიმართოს ხარკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს და სთხოვოს ნებართვა დაუყოვნებლივ მოისპოს სწავლა პირველ კურსში, ვიდრე მთავრობისაგან შესაფერ განკარგულებას მიიღებს. 2) რადგანაც 1 კურსის სტუდენტებმა თვისი მოხსენებით დაამტკიცეს, რომ სრულიად არ სცემენ პატივს ინსტიტუტის საბჭოს და უკუ აგდეს საბჭოს უფლება სამოსწავლო საქმეთა გამგებობისა და აგრეთვე მოინდომეს მითვისონ ინსტიტუტის საქმეთა მართვა-გამგება, ასე უზრდელიად მოექცნენ პროფესორს და შეელს საბჭოს, საბჭომ უნდა მიმართოს ხარკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს

და სთხოვოს განათავისუფლოს პროფესორები შეუძლებელ სწავლისაგან პირველ კურსში იმ დრომდე, ვიდრე სტუდენტები არ აღიარებენ თავიანთ საქციელს ინსტიტუტის საბჭოსაგან განსაკიხებელ საქციელად, ხოლო ვინც არ შეასრულებს ამას, ინსტიტუტს თავი უნდა დაანებოს.—შეკრებულ ცნობებით აღმოჩნდა: 1) ზემოხსენებული უკადრისი საქციელი სტუდენტებისა წინააღმდეგ იყო მოთქრებული და მომზადებული და ამასთანავე დიდის სიფრთხილით და ინსტიტუტის უფროსთა შორის არაფერ არ იცოდა, რა უნდა მომხდარიყო 15 ნოემბერს. 2) უკადრისი მოხსენება სტუდენტებისათვის კურსის ყველა სტუდენტების საქმეა, რადგანაც აუდიტორიაში მყოფთა შორის არც ერთს სტუდენტს არ განუცხადებია თვისი წინააღმდეგობა ზემოხსენებულის საქციელისა გამო.

რადგანაც სტუდენტებს, როგორც მოსწავლეებს, არა-ნაირად და არავითარ შემთხვევაში არა აქვთ უფლება გაერიონ სასწავლებლის მართვაში და ზემოხსენებული საქციელი პირველ კურსის სტუდენტებისა კი იმით იქცევს კიდევ უფროდღებს, რომ მათ, როგორც ახლად შესულთ ინსტიტუტში და სულ სამი თვის მოსწავლეთ, სექვთა, რომ ჰქონებოდათ ნამდვილი წარმოდგენა სწავლებისა იმ საგნებზე, რომელთა შესწავლას სულ ცოტა ხანია, რაც შეუდგენ; რომ უმავალითა კადნიერი საქციელი ახალგაზდა სტუდენტთა დამსახურებულ და საზოგადო პატივით მოსილ პროფესორის მიმართ, ჰმოწმობს მათს თავაშვებულებას, ამიტომაც დაუყოვნებლად საქირთა იყო საგანგებო ღონის ძიებათა მიღება დარღვეულ წესიერების აღსადგენად და მეც საქირთად დავინახე ტელეგრამით მიმეცა განკარგულება ხარკოვის სამოსწავლო ოლქის მმართველისათვის მაშინვე დაეთხოვა ხარკოვის საბეთალო ინსტიტუტის პირველი კურსის ყველა სტუდენტები, იმათ გარდა, რომელნიც ცხადად დაამტკიცებენ, რომ ნოემბრის 15 ს შემოხსენებულს ლექციას არ დასწრებიან.

### ყოველ-დღიური საპირი ცნობები:

კავკასიის რეინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უხვენებენ დროს. ფრჩხილებს ვართუ—პეტერბურგის საათით)

**მატარებელი მიდის ტფილისიდან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 სალამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.), ბათუმში ჩავა დიდის 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დიდის 9 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა სალამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

**ტფილისიდან ბორჯომში:**

სამგზავრო მატარებელი № 67 დიდის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩავა დიდის სალამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**ტფილისიდან ბაქოში:**

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარსკვეობით, დიდის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩავა დიდის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 24 დიდის 47 წ. (12 ს. 45 წ.), კარსში ჩავა დიდის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 სალამოს 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში დიდის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

**ტფილისიდან შარსში:**

ფოსტის მატარებელი № 58, 59 დიდის 10 ს. (10 ს. 58 წ.), კარსში დიდით 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

**ბათუმშიდან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 4 დიდის 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში დიდის დიდის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დიდის 6 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში დიდის სალამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

**ბაქოშიდან ტფილისში:**

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათით დიდის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.) ტფილისში ჩინოლის დიდის 12 ს. 4 (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 დიდის 2 წ. (1 ს.) ტფილისში დიდის, სალამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დიდის 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში დიდის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).


**ბორჯომშიდან ტფილისში:**

სამგზავრო მატარებელი № 66 დიდის 6 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.), ტფილისში დიდის დიდის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

**შარსიდან ტფილისში**

ფოსტის მატარებელი № 60—61 დიდის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩინოლის დიდის 6 ს. 47 წ. (7 ს. 45 წ.).

### განცხადება



რობალები

ზიანინო

ფის-გარმონები, სკრიპკები, ვიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღს შეძენა შეიძლება ფასის წვირულ-წვირილად გარდახდით.

**პ რ ე ს კ უ რ ა ნ ტ ე ბ ი**

მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა

**ბ. შ. მიკიონიანისა**

**Музыкальное дело**

**М. МИКИОНЯНА**

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—5.—9)